გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 120

2020 წლის 11 სექტემბერი
ქალაქი გორი

„ა(ა) იპ „გორის მუნიციპალიტეტი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ (ს/კ 218081590) 2020 წლის შესრულებული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2020 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და „ა(ა) იპ „გორის მუნიციპალიტეტი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ (ს/კ 218081590) 2020 წლის შესრულებული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს „ა(ა) იპ „გორის მუნიციპალიტეტი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ (ს/კ 218081590) 2020 წლის შესრულებული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

საქართველო
ა.(ა).ი.პ „გორის
მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრი“

GEORGIA
N.I.P. "THE CENTRE CARE OF
PUBLIC HEALTH OF GORI
MUNICIPALITY"

1400 გორი სტალინის ქ. №2
ტელ 0(370) 27-46-84, 27-46-85.
ელ-ფოსტა: gori.jandacva@gmail.com

1400 GORI, STALIN AVE 2
TEL.: 0(370) 27-46-84, 27-46-85.

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ა.(ა)ი.პ. „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ

2020 წლის 1 იანვრიდან 24 აგვისტომდე

ა.(ა)ა.ი.პ. „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" 2020 წლიდან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მუშაობას აწარმოებდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №674 დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისათვის. კერძოდ, ეპიდსაწინააღმდეგო, იმუნიზაციის, მალარიის საწინააღმდეგო პროგრამებ[illegible] განხორციელებაზე, პარაზიტული დაავადებების დროულ გამოვლენასა და მა. ლიკვიდაციაზე, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვაზე. ვხელმძღვანელობდით აგრეთვე ჯანდაცვის მინისტრის N 01-57/ნ (19.11.2015),N 01-17/ნ (27.04.2016), 55/ო, 01-6/ნ(22.01.2019) ბრძანებებით. მთავრობის N 473 (14.09.2015) დადგენილებით, მთავრობის 2020 წლის 15 იელისის N 975 განკარგულებით (კორონავირუსის სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პირთა ნუსხის დამტკიცების და ჩატარების წესის შესახებ)და ა.შ.

2020 წლის დასაწყისში მუნიციპალური სჯდ ცენტრის მიერ შემუშავებული იქნა სამუშაო გეგმა, შეჯამდა 2019 წლის მუშაობა, დამუშავდა და დასჯდ ცენტრს გადაეცა სამედიცინო დაწესებულებებიდან მიღებული წლიური სტატისტიკური ინფორმაცია.

ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა შესახებ გორის საზოგადოებრივ. ჯანდაცვის ცენტრში წლის დასაწყისიდან დღემდე შემოვიდა სასწრაფო შეტყობინება 1960 შემთხვევაზე.

მართვადი ინფექციებიდან დაფიქსირდა მხოლოდ ყივანახველას 1 შემთხვევა.

გრიპის სეზონის გამო გრძელდებოდა ILI-სა და SARI-ის შემთხვევების შესახებ ყოველკვირეული ინფორმაციის მიღება და ყოველთვიურად ინფორმაციის გადაცემა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისათვის. 2020 წელშიც გრძელდებოდა სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. 2020 წელს სულ აიცრა 112 პირი, მა. შორის სამედიცინო პერსონალი 7, „ც"ჰეპატიტის მკურნალობაში ჩართული 8 პიროვნება, ორსული 1, სკოლამდელი ასაკისა და განათლების დაწესებულების თანამშრომელი 5, დიაბეტიკი 26, შშს-ს თანამშრომელი-65.

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით ეპიდზედამხედველობა დამყარდა თვითიზოლაციაში მყოფ 615 პირზე, დღეში ორჯერ ხდებოდა მათი დისტანციური მონიტორინგი, კვირაში ერთხელ ხდებოდა ბინაზე მონიტორინგი. დღემდე კოვიდ-19-ის 19 დადასტურებული შემთხვევა დაფიქსირდა, თერმოსკრინინგი ჩაუტარდა დაახლოებით 1200 მდე მოქალაქეს ორ სოფელში, ქვეყნის მაშტაბით დადასტურებულ შემთხვევებიდან 39 ეპიდკვლევა განვახორციელეთ, პანდემიის დაწყებიდან დღემდე სადიაგნოსტიკოდ აღებული და გაგზავნილი იქნა ლუგარის ლაბორატორიაში 187 ნიმუში.

C ჰეპატიტის, აივ ინფექცია შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებულ სკრინინგის ფარგლებში სჯდ ცენტრის თანამშრომლების მიერ 750 –მდე ბენეფიციარი იქნა გამოკვლეული C ჰეპატიტზე და აივ ინფექცია შიდსზე სწრაფი/მარტივი ტესტებით. ზოონოზური ინფექციებიდან ბრუცელოზის 1, ბორელიოზის 4, პოქსვირუსის 2 შემთხვევა დაფიქსირდა. ჩატარდა ეპიდკვლევები, ოჯახის წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია აღნიშნული დაავადებების შესახებ.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საქართველოში დიარეით მიმდინარე დაავადებების შემთხვევებისა და ეპიდაფეთქებების გამოვლენის, მათზე რეაგირებისა და პრევენციის მიზნით აქტიური ეპიდზედამხედველობა გვქონდა დაწესებული შ.პ.ს „გორმედი"-ში, დიარეით მიმდინარე 185 პაციენტზე, მოხდა 85 საანალიზო ნიმუშის აღება და დასჯდ-ცენტრის ლაბორატორიაში „ცივი ჯაჭვის" პრინციპით გადაგზავნა, 15 შემთხვევაში მიეიღეთ დადასტურება (შიგელოზი-7, სალმონელა-7, ეშერიხიოზი1). გამოვლინდა 1 ეპიდაფეთქება და 3 შემთხვევაში მოხდა გამომწვევის იდენტიფიცირება. შესწავლილი იქნა ყველა კონტაქტი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 15-49 წლის (რეპროდუქციული) ასაკის ქალთა და 0-5 წ ბავშვთა სიკვდილიანობის თითო შემთხვევა დაფიქსირდა, ორივე შემთხვევაში ჩატარდა ეპიდკვლევა.

კარდაკარ შემოვლის პრინციპით ვერბალური აუტოფსია ჩატარდა 401 გარდაცვლილ მოქალაქეზე.

ტუბერკულოზის 30 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა აქედან 28 ფილტვის (მგბ+14, მგბ–14) ფორმა და 2 ფილტვგარეშე. ფილტვის ოცდარვა შემთხვევაზე ჩატარდა ეპიდკვლევა კონტაქტირებულების დასადგენად, სულ 32 კონტაქტირებული მოვიძიეთ. ყველა მათგანის რეფერალი მოხდა ტუბ კაბინეტში ლატენტურ/აქტიურ ტუბერკულოზზე დიაგნოსტიკური კვლევისათვის. მკურნალობის შეწყვეტის 2 შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან ერთი პაციენტის მოძიება იქნა შესაძლებელი მისი მკურნალობაში ხელახალი ჩართვის მიზნით, მეორე პაციენტი რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ჩვენი რეგიონის ტერიტორიაზე არ ცხოვრობს. გარდაცვალების შემთხვევა ტუბ პაციენტებში არ დაფიქსირებულა.

ცხოველების მიერ დაკბენილ-დადორბლილ პირთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 836, მ.შ პატრონიანი ცხოველით დაკბენილი იყო 530, მოხეტიალე ცხოველით - 306. 1 წლამდე ასაკის 350 პირი, პირობითი კურსი დაენიშნა 713 პიროვნებას, სრული კურსით მკურნალობდა 123 პირი. ყველა მათგანი აღრიცხული იყო ანტირაბიულ კაბინეტში და იტარებდა შესაბამის პროფილაქტიკურ მკურნალობას. აღნიშნულთან დაკავშირებით

ინფორმაცია მიწოდებული იყო სურსათის უვნებლობის რეგიონალური სამსახურისათვის. ადამიანებში ჰიდროფობიის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

პროფილაქტიკური აცრები 2020 წლის 1 იანვრიდან ტარდებოდა ეროვნული კალენდარის (ჯანდაცვის მინისტრის 01-57/ნ ბრძანება) მიხედვით. გასული წლის ნოემბრის თვეში დადგინდა 2020 წლის ასაცრელ ბავშვთა გეგმა-კონტიგენტი. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ჩატარებული აცრები : ბცჟ ვაქცინაცია-854,პოლიო-1333, ჰექსა-2303, დყტ-752, დტ-802, ტდ-382, წწყ-1832, ჰეპატიტი ბ-903, როტა-1273, პნევმოკოკი-2154, აპვ-181, სპიდა-1176, ტეტრაქსიმი-280. წწყ-ს არაგეგმიური ვაქცინაცია-

პარაზიტოლოგიურ კაბინეტის მიერ წლის განმავლობაში ჭიის კვერცხებზე გამოკვლეული იქნა 964 პიროვნება. კვლევის შედეგად ენტერობიოზი აღმოჩნდა 321 შემთხვევაში, ასკარიდოზი 123, სოლიტერი -1, შერეული ინვაზია (ენტერობიოზი+ასკარიდა) -103, შერეული ინვაზია(ენტერობიოზი+პროტოზოა.)-1, ტრიხოცეფალოზი–1, ანალიზები ინვაზიის გარეშე—414. პროფილაქტიკის მიზნით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელებს გადაეცათ 2254 აბი მედიკამენტი „ვერმოქსი".

პროფილაქტიკური სამსახურის მიერ

2020 წლის 6 თვეში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესწავლის მიზნით მონიტორინგი განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 7 საჯარო და 9 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, სილამაზისა და ესთეთიკის 8 სალონში. 191 ობიექტი იქნა შემოწმებული „თამბაქოს კანონის" აღსრულებასთან დაკავშირებით. კორონავირუსის პანდემიის დაწყებამდე განხორციელდა საინფორმაციო საგანმანათლებლო შეხვედრები სეზონურ გრიპისა და ზემო სასუნთქი გზების ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ, პანდემიის დაწყებისთანავე მოსახლეობას მივაწოდეთ საინფორმაციო მასალა ახალი კორონა ვირუსის შესახებ.

2020 წლის 1 იანვრიდან „თამბაქოს შესახებ კანონი"-ის მიხედვით მოწევა აიკრძალა სტადიონებზე, ამასთან დაკავშირებით დავამზადეთ ორი ტიპის ბანერები, რომლები განთავსდა „გორის დიდას" სტადიონზე, დამზადდა პირბადეები (წარწერით „გორი თამბაქოს გარეშე", რომლის დარიგებაც მოხდა მოსახლეობაში), ფლაერები (სახელწოდებით „ახალი კორონავირუსი და თამბაქოს მოხმარება"-დარიგდა თვითიზოლაციაში მყოფ მოსახელეობაში) და მოწევის აკრძალვის ტელეფონზე დასაკრავი სტიკერები. თამბაქოს კონტროლის მიზნით ჩვენი სამსახური ახორციელებს აქტიურ მონიტორინგს სხვადასხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში (დახურულ შენობებში). 2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე მონიტორინგი განხორციელდა 191 ობიექტზე.

პატივისცემით,

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს

დირექტორი მ.შ:

მ. გიუნაშვილი